

მეტეხის გვირაბთან ხიდის შეკეთების სამუშაოების დაწყებას თბილისის მერი დაესწრო

მეტეხის გვირაბთან არსებული ხიდის კაპიტალური შეკეთება დაიწყო. სამუშაოების მიმდინარეობის პროცესი თბილისის მერმა დავით ნარმანიამ კეთილმოწყობის სამსახურის უფროსთან, ავთანდილ სულაძესთან ერთად დაათვალიერა.

დავით ნარმანიას განცხადებით, ხიდი რაბორატორიულად შემოწმდა და არსებული მძიმე მდგომარეობის გამო, მისი აღდგენა უმოკრეს ვადებში გახდა აუცილებელი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ხიდს, რომელსაც წილების განმავლობაში რეაბილიტაცია არ ჩატარებია, დაზიანებული აქვს სადფორმაციო ნაკვერები და ბურჯის რიგელები. მოშრილია, ასევე, ჰიდროიზოლაცია, მოაჭირები და დამცავი პარაპეტები, რაც უსაფრთხოების ნორმების სრული დარღვევაა.

“2 თვის განმავლობაში ძირითადი სამუშაოები დასრულდება, პირველ რიგში, ხიდი სრულად გამაგრდება, რომ გადაადგილება უსაფრთხო გახდეს. მთლიანად შეიცვლება ხიდის საფარი და მოწესრიგდება ტროტუარები. სამუშაოების დასრულების შემდეგ ხიდის ექსპლოატაციის ვადა მნიშვნელოვნად გახანგრძლივდება”, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

ავთანდილ სულაძის თქმით, სარეაბილიტაციო სამუშაოები 24 საათიან რეჟიმში მიმდინარეობს. ამ დროისთვის გზის მხოლოდ ერთი ნაწილია დაკეტილი. მისი რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ ხიდის მეორე ნაწილის კაპიტალური შეკეთება დაიწყება. გზის აღნიშნულ მონაკვეთზე ტრანსპორტის მოძრაობა შესაძლებელია იარბუმის ქუჩიდან მარჯვენა სანაპიროს მიმართულებით. შეცვრილი მარშრუტით მოძრაობს როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი ტრანსპორტი.